სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/11

ქ. თბილისი 10 მარტი 2025

„სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 7 მარტის №01-05-04/25 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 10 მარტის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 7 მარტის №01-05-04/25 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები.
2. შეტანილ იქნეს ცვლილება „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/49 დადგენილებაში და დადგენილების 1.3. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლების მქონე პირისთვის, გარდა ამ დადგენილების 1.2 პუნქტით განსაზღვრული წესით ჩარიცხული პირისა:

ა. ა) ყველა პროგრამაზე - 4000 ლარი;

ბ) სხვა პირისთვის, გარდა ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებული პირისა:

ბ.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 4000 ლარი;

ბ.ბ) რუსულენოვან პროგრამაზე - 8000 ლარი;

ბ.გ) ინგლისურენოვან პროგრამაზე - 12500 ლარი.".

3. ამ დადგენილების მეორე პუნქტი გავრცელდეს 2021/2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩარიცხულ (მათ შორის მობილობის წესით ჩარიცხული) სტუდენტებზე, ხოლო 2022/2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან - სტატუსაღდგენილ სტუდენტებზე;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**